სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

89510555071119

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190602406

რეგისტრაციის თარიღი

28.05.2019 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდარვა მაისს მე, **ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს** სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქუჩა № 16 მომმართა **დავით სილაგავამ.** მან განაცხადა, რომ არის **შპს „გალაქსი კონსტრაქშენ“-ის (ს/კ №404987056) დირექტორი** და სურს **დალი ბენაშვილის** მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა სამოქალაქო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად **დავით სილაგავამ (დაბ.12.11.1978წელს, თბილისი, პირადი # 01024002394, რეგ. მისამართზე: თბილისი ლუბლიანას III ჩიხი N 4)** მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, დავით სილაგავა, როგორც **შპს „გალაქსი კონსტრაქშენ“-ის (ს/კ №404987056)დირექტორი, შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც “მიმნდობი პირი”, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ** დალი ბენაშვილს (დაბ.04.06.1965 წელს, თბილისი, პირადი # 01034005571) შემდგომში – “მინდობილ პირს”:
მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი შპს „გალაქსი კონსტრაქშენ“-ის (ს/კ №404987056) კუთვნილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, დ. თავდადებულის ქ. N10ბ, ს/კ # 01.10.06.006.239 ქ. თბილისის (ნებისმიერ) მერიაში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, ყველა საჯარო ინსტანციაში, ეკონომიკის სამინისტროში, გამგეობაში, მუნიციპალიტეტში, საკრებულოში, სანოტარო ბიუროში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საამზომველო ფირმებში, ზედამხედველობის სამსახურში, თვითმმართველობის ორგანოებში, მერიის არქიტექტურულ სამსახურში, რათა მიიღოს უძრავი ქონების მშენებლობის/ექსპლუატაციაში ჩაშვების ნებართვა, შეათანხმოს პროექტი, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს ჩემი ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოამზადოს/შეიტანოს/გამოიტანოს სამშენებლო პროექტი, მოახდინოს ფართების დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია, ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, და სხვა დოკუმენტი ან მისი დუბლიკატი, ხელი მოაწეროს მიმნდობი პირის მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, დაკავშირებული მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან.
მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.
მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.
მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.
ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:
შპს „გალაქსი კონსტრაქშენ“-ის (ს/კ №404987056) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე - 10 (ათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

_____

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/